ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე, რომლის მისამართიც არის ქ. თბილისი, უზნაძის ქუჩა N70, საკადასტრო კოდები: 01.13.08.010.059; 01.13.08.010.060; 01.13.08.010.061; 01.13.08.010.062 და 01.13.08.010.063 გაცემული იყო ნაკვეთზე არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟის ბრძანება #1848971 თარიღი 21/04/2015 და აგრეთვე საპროექტო ტერიტორიაზე შეთანხმდა საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ბრძანება #944403 თარიღი 23.10.2013.
დამატებით განგიმარტავთ, რომ ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობების მდგომარეობა არის გაუარესებული და საფრთხის შემცველია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, აღნიშნული ნათლად ჩანს ჩვენს მიერ წარმოდგენილ ფოტოსურათბზე.
1. რაც შეეხება სამომავლო განვითარების ესკიზს (იხ. დანართი 1.1 და 1.2.), გიგზავნით ესკიზის იმ ნაწილს რომელიც ასახულია განაშენიანების რეგულირების გეგმაში. ჩვენი კომპანიის ინტერესს წარმოადგენს მხოლოდ დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება და გაყიდვა. შესაბამისად სამომავლო ხედვა და მისი დეტალები წარმოდგენილი იქნება ალბათ მომავალი მყიდველის მიერ, მშენებლობის ნებართვის აღებისას. ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მოცემული მომენტისთვის, ჩვენი კომპანიების მიერ არ იგეგმება ტერიტორიის განვითარება და შესაბამისად არ გვაქვს ისეთი დეტალები, როგორიც არის არის მასალა, ზომები, ნიშნულები და ფერის კოდი.
2. წარმოგიდგენთ ფოტოსურათებს, რომელზეც მითთებულია/დატანილია საკადასტრო კოდები და ნუმერაცია. ამასთან, აქვე განვმარტავთ, რომ უზნაძის ქუჩაზე მდებარე შენობის ნომერია 1/3, ხოლო ტერიტორიის შიგნით მდებარე შენობის ნომერია 4/2. (იხ. დანართი 2.1. 1/3 და 2.2. 4/2)
3. წარმოგიდგენთ იქტორიულ-არქიტექტურულ კვლევას. (იხ. დანართი 3.)
4. წარმოგიდგენთ ახალ ტოპოგეოდეზიურ ანაზომს.

შპს „სწავლების და განვითარების ცენტრი“ (ს.ნ. 202292401)

შპს „საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მზიური“ (ს.ნ. 204870309)

დირექტორი

თამთა ოტიაშვილი



ВИД С ЮГА

ВИД С ЗАПАДА

ВИД С СЕВЕРА

ВИД С ВОСТОКА

ГИПРОНИИ	ОХРАННЫЕ ЗОНЫ	ЗАСТРОЙЩИК	ЗАСТРОЙЩИК
НАЧ.ГРУППЫ	ОХРАННОЙ ЗОНЫ	РУКОВОДИТЕЛЬ	ГЛ.ИНЖ.
ГИП	А-Т	1.8.07	Цветочек.dwg

ЭКСПЛИКАЦИЯ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ

ЛЕГЕНДА

ГИПРОНИИ	STAGE	ПОЭТАЖ.	ЛИСТ
НАЧ.ГРУППЫ			
ГИП			
ГЛ.ИНЖ.			
РУКОВОДИТЕЛЬ			
ГЛ.АРХИТЕКТОР			
ГЛ.КОНСТР.			
ГЛ.ИНЖ.			
ГЛ.ТЕХНОЛОГ			
ГЛ.ЭЛЕКТРИК			
ГЛ.ОВиК			
ГЛ.ВК			
ГЛ.СМЕТЧИК			
ГЛ.ЭКОНОМИСТ			
ГЛ.ПЛАНИРОВЩИК			
ГЛ.ГЕОДЕЗИСТ			
ГЛ.ГЕОЛОГ			
ГЛ.ГИДРОЛОГ			
ГЛ.ЭКОЛОГ			
ГЛ.ГЕОФИЗИК			
ГЛ.ГЕОМЕХАНИК			
ГЛ.ГЕОТЕХН

3-4 სართულიანი საცხოვრებელი
განაშენიანება

უზნაძის ქ.

საზოგადოებრივი
დანიშნულების
შენობა



2-3 სართულიანი
საცხოვრებელი სახლები

ფორმატი PAPER SIZE	ხელშეკრულების № CONTRACT #	პროექტის № PROJECT #	ფაილის სახელი FILE NAME
A-3			

პირობითი აღნიშვნები LEGEND

შენიშვნები NOTES

სიტუაციური სქემა KEY PLAN



დამკვეთი CLIENT	შ.პ.ს. "ტრავლების და განვითარების ცენტრი" შ.პ.ს. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "ზიერი"
პროექტი PROJECT	საცხოვრებელი უბანი
მისამართი ADDRESS	ქ. თბილისი, უზნაძის ქ.70

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი. სალვინი	
მთ.არქიტექტორი	გ. სულაბერიძე	
ავტორი	გ. სულაბერიძე ლ. ჩიქოვანი	

შ.პ.ს. "არხსტუდიო პროექტი"
0709 თბილისი, გ. აბაშიძის ქ. 3/5,
ტელ/ფაქსი: (+995 32) 996640, 920607
www.artstudio.ge
E mail: artstudio_project@yahoo.com
Info@artstudio.ge

არქიტექტურული ნაწილი
ARCHITECTURE

მასშტაბი SCALE		თარიღი DATE OF ISSUE	26/04/2013

ნახაზი DRWG.
საპროექტო ფოტომონტაჟი

პორექტირება REVISIONS

№	პორექტ. REV.	თარიღი DATE
1		
2		
3		
4		
5		
6		

სტადია STAGE	ინდექსი INDEX	ფურც. PAGES
გრგ		

დანართი 2.1.

შენობა N1/3.
ს.კ.: 01.13.08.010.062
01.13.08.010.063



დანართი 2.2.

შენობა N4/2

ს.კ.: 01.13.08.010.060;
01.13.08.010.061;
01.13.08.010.063

06 10 2021

ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა



დამკვეთი:

შემსრულებელი:

შ.პ.ს. "არტსტუდიო პროექტი"

არქიტექტორი - ალა პროზოროვა

თბილისი

2008-09

ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

არსებული არქიტექტურული კვლევა წარმოებს *ყოფილი რკინიგზის სასწავლებელი შენობების რეკონსტრუქცია-ადაპტაციის შესაძლებლობის* განსახილველად.

წინამდებარე კვლევის დამკვეთი საკვლევი ტერიტორიის *(მდებარე **უზნაის ქ.№70-ში**)* მფლობელია და სურს შესძინოს მას ახალი ფუნქცია, რისთვისაც აუცილებელია ამ ტერიტორიაზე არსებლი ყველა შენობის და ნაგებობის ინდენტიფიკაცია და მათი შეფასება ისტორიული და აქიტექტურული თვალსაზრისით, რაიონის და მთელი ქალაქის მასშტაბით. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება განისაზღროს რომელი შენობების დატოვებაა აუცილებელი, მათი შემდგომი რაკონსტრუქცია-ადაპტაციისათვის და რომელი შენობების დაშლაა საჭირო, რათა გამონთავისუფლებული ტერიტორიები გამოყენებული იქნეს ახალი მოცულობების ასაშენებლად და ტერიტორიების კეთილმოსაწყობლათ.



გამოსაკვლევი ობიექტების მხატვრულ-ისტორიულ და არქიტექტურულ ღირებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ***არქიტექტურულ საპროექტო დავალების*** ჩამოყალიბებისათვის, გამოსაკვლევი ტერიტორიის რეკონსტრუქციისათვის – მათ შორის მისთვის ***ფუნქციის არჩევისათვის***, რითაც ეს ტერიტორია უნდა აღიჭურვოს.

საკვლევ ტერიტორიაზე ***უძნაძის ქ.№70***-ში იმყოფება რამდენიმე ძირითადი და დამხმარე ყოფილი სასწავლო დაწესებულების შენობა-ნაგებობა. არც ერთი მათგანი არ შედის ქ.თბილისის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში. თუმცა ზოგიერთი შენობა აშენებულია ***XIX*** საუკუნის ბოლოს, ხოლო ზოგიერთი – ***XX*** საუკუნეში. თითეული ეს შენობა ატარებს ანაბეჭდს იმ არქიტექტურული ტენდენციისა, რომელიც დამახასიათებელია თბილისის იმ დროის მშენებლობისა. გარდა ამისა ***საკვლევი ტერიტორია იმყოფება ქ.თბილისის დაცულ ტერიტორიაზე და გააჩნია თავისი უნიკალური ისტორია.***

აღნიშვნული ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისის „ძველი ქალაქის“ ადმინისტრაციულ რაიონში (ყოფილი დიდუბე-ჩუღურეთის ადმინისტრაციული რაიონი), ***უზნაძის ქუჩის და მტკვრის მარცხენა სანაპიროს შორის.***



თბილისის რუქა - 1802 წ.



სოფელი “კუკია”

ველი“ჩუღურეთი”

ჩუღურეთის “ქალაქური” ისტორია XIX საუკუნის მიწურულს იწყება. ***XVII*** საუკუნეში დაფარული იყო ველური მცენარეებით. ოდნავ ზემოთ *(დაახლოებით ახლანდელი ჩიტაიას ქ.)*, დავით აღმაშენებლის გამზირის პარალელურად გადიოდა ძველი ***ავჭალის გზა. 1818*** წელს კუკიის ტერიტორიაზე და მის

გარეთაც დასახლდა ვიურტენბერგიდან გადმოსახლებული გერმანელი კოლონისტების ნაწილი. მათ კეთილმოაწყვეს ადგილი, გაიყვანეს სარწყავი არხი, *ტერიტორიაზე გაჩნდა ბაღები და ბოსტნები. 1824წ.* კუკია და ყოფილი გერმანული დასახლება ***ალექსანდერდორფი*** ოფიციალურად მიეწერა ქალაქს, *1853* წლიდან აქ ვრცელდება ქალაქის განაშენიანების წესები, ხოლო *1862წ. შედის ქალაქის საზღვრებში.*



ამ დროს საქართველოში და კერძოდ თბილისში დგება პერიოდი, ძირფესვიანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცვლილებებისა – განსაკუთრებით *1860*-ან წლებში ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ. ძლიერდება პროცესი ერთის მხრივ ფეოდალური ნატურალური მეურნეობის კვდომისა და მეორეს მხრივ – ვაჭრობისა და სამრეწველო კაპიტალის განვითარებისა. *თბილისი ხდება კავკასიის ადმინისტაციული ცენტრი და მთავარსარდლის რეზიდენცია,* შემდეგ კი მეფისნაცვლისა კავკასიაში. თბილისი აღმოჩნდა კაპიტალის ინტერესაბის სფეროში – უფრო და უფრო აფართოებდა ეკონომიურ და სავაჭრო კავშირებს რუსათთან, აკედან კი – ევროპასთან. გარდა ამისა თბილისი იყო კავკასიის ცენტრი ნედლეულის შესყიდვისა და პროდუქციის რეალიზაციისა, ამასთან ის კვლავ *ხდება მნიშვნელოვან სავაჭრო და სატრანსპორტო კვანძად. თბილისის გავლით რუსეთი ეწეოდა ვაჭრობას და დიპლომატიურ ურთიერთობებს ახლო აღმოსავლეთის ყვეყნებთან.* უნდა ააღვნიშნოთ, რომ იმ დროისთვის *ამიერ - კავკასიის რკინიგზის ფუნქციონირებისათვის მკვეთრათ იგრძნობოდა მაღალკვალიფიციური ადგილობრივი კადრების უქმარისობა.*



თბილისის ფოტო – მე-XIX საუკუნის ბოლო

თბილისის სამრეწველო და სავაჭრო პოტენციალის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა რკინიგზის მშენებლობას. 1872 წელს ფოთის პორტის მშენებლობის შემდეგ დამთავრდა თბილისი-ფოთის რკინიგზის ხაზი, ხოლო *1883* წლიდან გაიხსნა თბილისი-ბაქოს მონაქვეთი. ქალაქში ჩნდება მსხვილი სამრეწველო საწარმოები, მათ შორის *1883 წელს მწყობრში შედის ორთქმავლისა და ვაგონების შამკეთებელი სახელოსნოები. 1900 წელს ამიერ-კავკასიის რკინიგზა შეუერთა რუსეთის რკინიგზის ხაზს* – ამ დროისათვის თბილისში ფუნქციონირებდა დაახლოებით 60 ფაბრიქა და ქარხანა.



თბილისის ფოტო – მე-XX საუკუნის დასაწყისი

მნიშნელოვანი ცვლილებები ხდება ქალაქის კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში, *ფართოვდება სასწავლო - საგანმანათლებლო ქსელი.* არსდება ახალი სამეცნიერო საზოგადოებები და გამომცემლობები. გაჩნდა რუსული თეატრი და იტალიური ოპერა. იწყება აღორძინება ნაციონალური ლიტერატურული ცხოვრებისა (ამ მხრივ განსაკუთრებული როლი

ენიჭებოდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული ქონდათ პეტერბურგში და ევროპაში). ***ამ პერიოდში თბილისში იხსნება ახალი გიმნაზიები, პანსიონები და პროფესიული სასწავლებლები – მიწათმოწყობის, რკინიგზის, სხვადასხვა ხელობების და სხვა.***

1898 წლის გეგმაზე ***ქალაქი დაყოფილია 10 ადმინისტრაციულ ერთეულად.*** მე-***10, «საბაღე»*** *(«Садовый»)* ნაკვეთი იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკვეთი და აერთიანებდა ახალ კუკიას, ყოფილ გერმანულ კოლონიას და დიდუბეს. ამ ტერიტორიებზე ***ჩნდება რეგულარული დაგეგმარება*** ქუჩების სწორკუთხოვანი ბადით, რომელიც პატარა კვარტლებს ქმნის. ეს სისტემა შედგება მტკვრის და რკინიგზის პარალელური გასწვრივი და პერპენდიკულარულად გადამკვეთი ქუჩებისგან. გასწვრივი ღერძების მოვალეობას ასრულებს პარალელური ***ანდრეევის*** *(Андреевская, მოგვიანებით -ორჯონიკიძის ქ., ამჟამად - თევდორე მღვდლის ქ),* ***ნიკოლაევის*** *(Николаевская, მოგვიანებით – კალინინის, ამჟამად – ჯავახიშვილის ქ.),* ***ელისაბედის*** *(Елизаветинская, მოგვიანებით – კლარა ცეტკინის, ამჟამად – ნაწილობრივ წინამძღვრისშვილი, ნაწილობრივ - აღმაშენებლის გამზირი),* და *მიხაილოვის (Михаиловская, მოგვიანებით – პლეხანოვის, ამჟამად – აღმაშენებლის გამზირი)* ქუჩები და Великокняжеская *(მოგვიანებით – კამოს, ამჟამად – უზნაძის ქ.).* გრძივი ქუჩები – ***ანდრეევის*** და ***ელისაბედის*** დიდუბეს, მარცხენა სანაპიროს სხვა ქუჩებთან აკავშირებდა.



მე-X *«საბაღე» («Садовый»)* ნაკვეთი

ფოტო 1889 წ.

საკვლევი ტერიტორია

ვერის ხიდი

რკინიგზის გაყვანამ, ცენტრალური სარკინიგზო სახელოსნოების და დეპოს შექმნამ, სამრეწველო საწარმოების ზრდამ, ვაჭრობის განვითარებამ, თავისი კვალი დაატყო თბილისს, რომელიც ტიპიურ ბურჟუაზიულ ქალაქად გადაიქცა. ქალაქის ტერიტორია მნიშვნელოვნად ფართოვდება, შენდება დიდი შენობები – თეატრები, სახელმწიფო დაწესებულები, ბანკები, სასტუმროები, ქარვასლები, ჩნდება მრავალსართულიანი და მრავალბინიანი «გასაქირავებული საცხოვრებელი სახლები» *(«Доходные дома»). კავშირი ეროვნული ხუროთმოძღვრების ტრადიციებთან ამ პერიოდისთვის თითქმის მთლიანად დაკარგულია* – *XIX* საუკუნის დასასრულის, *XX* საუკუნის დასაწყისის დასავლეთ ევროპაში და რუსეთში გაბატონებული *ეკლექტიკური არქიტექტურა თბილისსაც მოიცავს.*. მარცხენა სანაპიროზე ასევე ხდება განაშენიანების დიფერენციაცია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე. ამ რაიონში *მიხაილოვის ქუჩაზე* და უახლოეს მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც გოლოვინის პროსპექტზე, მაგრამ უფრო პატარა მაშტაბით, შენდება სასტუმროები, კლუბები, შემისავლიანი სახლები. აქ სახლდებიან გამდიდრებული ვაჭრები, რომელთა 2- და 3-სართულიანი სახლები ჩნდებიან დაბალი განაშენიანების ადგილზე. თუმცა ჯერ კიდევ დარჩენილია ნაწილი მწვანე მასივებისა და კოტეჯებისა გარშემორტყმული ბაღებით, სადაც ცხოვრობენ გერმანელები. რამოდენიმე ასეთი ადრენდელი სახლები დრესაც შემორჩენილია.



თბილისის რუკა
1902 წ.

252 – მე-2 კაცის გიმნაზია, 256 – ალექსანდროვის მასწავლებელთა
257 – მიხაილოვის ტექნიკური რკინიგზის სასწავლებელი
259 – სამხედრო სათადარიგო სააფტიაკო მაღაზია, სამედიცინო ლაბორატორია
262 – ქვეითი ჯარისა საიუნკერო სასწავლებელი

1933 წელს შევიდა ძალაში ***ქ.თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა,*** რომელიც გამომდინარეობდა ქალაქის განვითარების პერსპექტივიდან – როგორც ***დიდი ინდუსტრიული, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი, ასევე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი.*** გენერალური გეგმა იყო სახელმძღვანელო დოკუმენტი თბილისის რეკონსტრუქციისა ***1960*** წლის ბოლომდე. თანახმად ამ გენგეგმისა თბილისში დაიწყო მშენებლობა დიდი რაოდენობით სკოლებისა, ახალი პროფესიული სასწავლებლებისა, ინსტიტუტებისა, სამეცნიერო დაწესებულებებისა, კინოთეატრებისა, წიგნთსაცავებისა და სხვა განათლების ობიექტებისა. ამასთან გრძელდება გაფართოება და რეორგანიზაცია სხვადასხვა ნაგებობებისა, მათ შორის სასწავლო. ***1932-33*** წლებიდან დაწყებულიდან - ***1955*** წლამდე, თბილისის არქიტექტურა *(ისევე, როგორც მთელი საქართველოში)* შედის ახალ სტადიაში - ჩნდება ეგრეთწოდებული ***“სოცრეალიზმის”*** არქიტექტურა, რომელიც ამ დროის ყველა ნაგებობისთვის არის დამახასიათებელი. “სოცრეალიზმის” სტილი ქრება მხოლოდ ***1960***-იან წლებში, რაიონების დაპროექტების და ტიპიური მშენებლობის პერიოდის მოსვლით, რომელსაც ჰქონდა სუფთა ფუნქციური დატვირთვა ყოველგვარი “არქიტექტურული ზედმეტობის” გარეშე.

XIX საუკუნის დასასრულის, ***XX*** საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ კვარტალში მტკვრის ***მარცხენა სანაპიროსა და ყოფილი Великокняжеская (ამჟამად – უზნაძის) ქუჩას შორის განლაგებულია ჩვენი საკვლევი ტერიტორია.***

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქალაქის ისტორიული რუკების ***1867***-დან ***1924*** წლამდე მიხედვით საკვლევი ტერიტორიაზე და მის მახლობლად იყო თავმოყრილი მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულებები – გიმნაზიები, სასწავლებლები (მოგვიანებით – სკოლები, ტექნიკუმები, პროფტექნიკური სასწავლებლები, ინსტიტუტები და კოლეჯები). საკვლევ ტერიტორიაზე თვით ქუჩების და შესახვევების იმ დროის დასახელებები, თბილისის ძველი რუკების მიხედვით, მიესადაგებოდა ამ უბნის “განათლების” ფუნქციაზე – კერძოდ არსებობდა იუნკერების ჩიხი, გიმნაზიის სანაპირო, ტექნიკური ქუჩა და შესახვევი, სასწავლო შესახვევი, და სხვა. აქვე საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე კვარტალში მდებარეობდა პირველი საქალაქო რეალური სასწავლებელი *(მოგვიანებით – პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდგომ –*

ტექნიკუმი; ჩხეიძის ქ.№2), მე-2 კაცთა გიმნაზია *(ამჟამად – განათლების სამინისტრო; უზნაძის ქ.№52),* ალექსანდროვის მასწავლებელთა ინსტიტუტე *(ამჟამად ამ ინსტიტუტის კორპუსები გამოყენებულია საცხოვრებლად; უზნაძის ქ.№91-ა),* იუნკერთა სასწავლებელი *(მოგვიანებით – თბილისის არტილერიის სასწავლებელი, შემდეგ – იუნკერთა სასწავლებელი; დ.აღმაშენებლის პრ. №148).* დღევანდელი მდებარე **უზნაის ქ.№70**-ში ტერიტორიაზე კი აღნიშნულია ***"მიხაილოვის ტექნიკური რკინიგზის სასწავლებელი"***. ყოველივე ზემოთ აღიშნული მიანიშნებს რომ, სწორედ ***საკვლევ რაიონს გააჩნია საუკუნენახევრიანი "სასწავლო-განმანათლებითი" ტრადიციები.***

ამიერკავკასიაში პირველი რკინიგზის სასწავლებლის ისტორია

საკმაოდ საინტერესოა:

- საარქივო დოკუმენტების მიხედვით ***1872*** წელს პირველად მოიხსენიება მიხაილოვის ქუჩაზე არსებული ***რკინიგზის სასწავლებლის - სახელოსნოები;***



"მიხაილოვის რკინიგზის სასწავლებლის 2-სართულიანი ქვის შენობის ასაშენებელი პროექტი

ქ.თბილისის, მე-10 ნაკვეთის მე-2 განყოფილება"

საქ.ცენტრ. საისტორიო არქივი 1878 წ.

- *1878* წელს მოხდა შეთანხმება ***"მიხაილოვის რკინიგზის სასწავლებლის 2-სართულიანი ქვის შენობის ასაშენებელი პროექტი – ქ.თბილისის, მე-10 ნაკვეთის მე-2 განყოფილება"*** *(პროექტი იმყოფება "საქართველოს ცენტრალურ*

საისტორიო არქივში"). ამ პროექტის გენგეგმაზე აღნიშნულია იმ დროისთვის უკვე არსებული 2 კორპუსი: **"არსებული სასწავლებელი"** და **"паровые" სახელოსნოები.** გეგმაში რუსული **«Г»**-მოხაზულობის სახელოსნოების თავდაპირველი პირველი სართულის კედლები დღემდე შენარჩუნებულია. ***1878*** წელს აშენებული შენობა კი, აგებულია ამ პროექტის მიხედვით, იარსება ***1921*** წლამდე. შემდგომში მის ადგილზე აშენებული იქნა სხვა შენობა, უფრო დიდი ზომის, რომელიც შემონახულია დღემდე *(სქემაზე - კორპუსი №1).* ანალოგიურად გენგეგმაზე აღნიშნული მეორე კორპუსის ადგილას ამჟამად სხვა შენობაა *(სქემაზე - კორპუსი №2).*

- ***1921*** წელს ზემოთ აღნიშნულ სასწავლებელს დაერქვა ***"ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი";***



წარწერა პარაპეტის ფრონტონზე – დ.აღმაშენებლის გამზირი №138
ფოტო 2008 წ.

- *1930* წელს ***"ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელისა"*** და ***"თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის"*** ხიდებისა და გზების საექსპლოატაციო ფაკულტეტების ბაზაზე ჩამოყალიბდა ***"ამიერკავკასიის მიმოსვლის გზების საინჟინრო ინსტიტუტი",*** რომელიც ***1934*** წელს გადადის *პლეხანოვის გამზირზე* ***№138*** – სპეციალურად მისთვის აშენებულ შენობაში, რის გამოც ჩვენ ***შესასწავლ ტერიტორიაზე დარჩა ამ ინსტიტუტის ლაბორატორიები და სახელოსნოები;***

- ***1936*** წელს რეორგანიზაციის შედეგად ინსტიტუტი დაერქვა ***"თბილისის ვ.ი.ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტი".*** საკვლევ ტერიტორიაზე ***№1*** *კორპუს* მიუშენდა ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული შენობა *(სქემაზე - №2)* ე.წ. "სოცრეალიზმის" არქიტექტურულ სტილში;



“საქართველოს სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი” - 1 კორპუსი
არქიტექტორები – მ.ნეპრინცევი, ნ.გლაზკოვი, პროექტი – 1940 წ. მშენებლობა – 1941-56 წწ.
ფოტო – 1961 წ.

- *1959* წელს ინსტიტუტი გაერთიანდა “საქართველოს ვ.ი .ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან”, რის გამოც *პლეხანოვის გამზირზე №138-ში* მყოფ კორპუსში და ჩვენ საკვლევ ტერიტორიაზე ***კამოს ქუჩა №70***-ში *(ამჟამად – უზნაძის ქ.)* განლაგდა ***“თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი”;***

- *1970*-იან წლებში საკვლევ ტერიტორიაზე არსებულ კორპუსებში რჩება ***“რკინიგზის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი”,*** რომელმაც 2000 წლამდე იარსება როგორც ***“თბილისის უმაღლესი ტექნიკური პროფესიული სასწავლებელი (კოლეჯი) ”.***

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ***1966*** წელს ***თბილისში გაიხსნა მეტროპოლიტენი,*** რომლის მშენებლობის აუცილებლობა გამოწვეული იყო მიწის ზედა სატრანსპორტო კავშირების სირთულით – რისი ძირითადი მიზეზი იყო მთაგორიანი რელიეფი, უნიკალური ისტორიული განაშენიანება – რომლებიც ხელს უშლიდა თბილისი მრავალი ქუჩის გაფართოებას, ხოლო ახალი ქუჩების გაყვანა ხდებოდა მთიანი მასივების გაყვეთის და ხეობების ამოვსების ხარჯზე. ამ პირობებში მეტროპოლიტენი მიჩნეული იქნა ერთადერთ ტრანსპორტის სახეობად, რომელსაც ყველაზე კარგად შეეძლო დაეკავშირებინა ქალაქის ცალკეული უბნები. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო თბილისში (ისევე, როგორც მთელ საქართველოში) ***1930-70*** წლებში გაჩნდა სატრანსპორტო და სატვირთო ***საბაგირო გზები.***

დასკვნაში შეიძლება ითქვას, რომ 1990-იანი წლების დასაწყისამდე ჩვენ საკვლევ ტერიტორიაზე არსებული 1872 დაარსებული "თბილისის რკინიგზის სასწავლებელი" უზრუნველყოფდა პროფესიული კადრებით დაკომპლექტება მთელი ამ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა: ამიერკავკასიის რკინიგზა, ორთქმავალ- და ვაგონშემკეთებელი ქარხნები, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, თბილისის ტრამვაის პარკი, ბილისის მეტროპოლიტენი, საბაგირო გზების სისტემა და სხვა.

საკვლევი ტერიტორიის უშუალო მეზობლად განლაგებულია რამდენიმე შენობა, რომლებიც შედის თბილისის არქიტექტურული ძეგლების სიაში:





- ***უზნაძის ქ. №101 /კრილოვის ქ. №15,*** 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც აშენებულია მე-***XIX*** საუკუნის ბოლოს ფსევდო-რომანულ სტილში, წარმოადგენს ერთერთ საინტერესო ნაგებობას ამ უბანში. შენობა ითხოვს სასწრაფო გამაგრებით-სარესტავრაციო სამუშაოებს *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010103334);*



- ***უზნაზის ქუჩაზე № 105***–ში მდებარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ა.ალადაშვილის სახ. კლინიკა (ყოპილი ტრავმოტოლოგიის საავადმყოფო) – რომელიც წარამოადგენს 2-3 სართულიანი შენობების კომპლექს, აშენებულია მე ***XIX*** საუკუნის ბოლოს და მე-***XX*** საუკუნის დასაწყისში *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვობარათი № 010103311);*



- ***უზნაზის ქუჩაზე № 109***–ში მდებარე მე-7 გიმნაზიის 3-სართულიანი შენობა, რომელიც თავდაპირველად აშენებული იყო როგორც “შემოსავლიანი” საცხოვრებელი სახლი ფსევდო-რენენსანსის სტილში მე-***XX*** საუკუნის დასაწყისში *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვობარათი № 010103300);*



- ***უზნაზის ქუჩაზე № 111***–ში მდებარე 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც აშენებულია მე-***XIX*** საუკუნის ბოლოს გვიანდელი კლასიციზმის სტილში *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვობარათი № 010103295).* საინტერესოა აიღნიშნოს, რომ ეს შენობა ააშენა დეკორატიული არქიტექტურული დეტალებისა და მოზაიკური იატაკების სახელოსნოების მეპატრონემ იტალიელმა ანდრიოლეტიმ როგორც საკუთარი სახლი;



- ამავე კვარტალში ***დ.აღმაშენებლის გამზირის №138***-ში მდებარეობს "სოცრეალიზმის სტილში ***1934*** წელს აშენებული შენობა ყოფილი ამიერკავკასიის მიმოსვლის გზების საინჟინრო ინსტიტუტი, მოგვიანებით – თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო – ინსტიტუტე, შემდეგ – რკინიგზის ტექნიკუმი, დღეს – რკინიგზის ინსტიტუტე (*ულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვობარათი № 010103280).*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქისათვის ისტორიული და აღქიტექტურული თვალსაზრისით ***მნიშვნელოვანი რამდენიმე შენობა, რომელიც განლაგებულია ასევე საკვლევი ტერიტორიის ახლოს, სამწუხაროდ არ შედის თბილისის ძეგლთა ნუსხაში.*** ესენია:

- ლუდის ქარხანა "ყაზბეგის" შენობა. ტერიტორია, სადაც ის არის განლაგებული, თბილისის ***1867*** წლის რუკაზე აღნიშნულია როგორც ***"ვეტცელის ლუდის სახარში ქარხანა"***, რომლის ძირითადი კორპუსი აშენებულია ადრეული კლასიციზმის სტილში და შემონახულია დღემდე;



საკვლევი ტერიტორია

"სადადარიგო აფტიაკი" ლუდსახარში ქარხანა

თბილისის რუკა – 1867 წ.



ხედი მარჯვენა სანაპ-ან ფოტო 2007 წ.

- ***უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე №8***-ში მდებარე შენობა აღნიშნულია თბილისის ***1913*** წლის რუკაზე მაშინდელ სასწავლო შესახვევში, სადაც ***1920***-ანი წლებიდან ***1954*** წლამდე განლაგებული იყო "***თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი***", რომელშიც შემდგომში დარჩა თბოლისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი. წარმოადგენს 4-5-სართულიან რთული გეგმარების შენობას და აშენებულია "პოსტ-მოდერნის" სტილში. შენობაზე დღემდე შემონახულია მრავალი საინტერესო არქიტექტურული დეტაილი, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ ატილისათვის (შესასვლელი კარებები, ფანჯრები, ინტერიერის დეტალები, ღობე და სხვა);

ფოტო 2007 წ



ფოტო მე-XX ს. დასაწყისი





- ჩვენი საკვლევი №2 კორპუსის მარჯვნივ ***უზნაძის ქუჩაზე №72***-ში დგას2-სართულიანი აგურის საცხოვრებელი სახლი ხის აივნებით, რომელიც თავისი არქიტექტურული დეტალებით და სტრუქტურით განექუთნება მე-***XIX*** საუკუნის ბოლოს;

იმ ტერიტორიის მნიშვნელობა, სადაც განლაგებულია ჩვენი საკვლევი ობიექტები, განისაზღვრება იმითაც, რომ მის მეზობელ კვარტალში ***უზნაძის ქუჩაზე №76***-ში განლაგებულია კიდევ ერთი საინტერესო შენობა *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საალრიცხვო ბარათი № 010101340),* რომელიც აღნიშნულია ჯერ კიდევ ***1844*** წლის რუკაზე როგორც "საქალაქო საავადმყოფო". მოგვიანებით ***1860***-იან წლებში აღნიშნულია როგორც ***"სააფთიაქო საწყობები".*** აღნიშნული შენობა დღემდა შემონახული, თითქმის იმავე მოხაზულობით, როგორც ***1844*** წლის რუკაზეა აღნიშნული.

ჩვენი საკვლევი ტერიტორია მდებარე უზნაძის ქუჩა №70-ში,



კადასტრში აღნიშნული პერიმეტრის ფარგლებში, დაკავებულია 12 ძირითადი შენობა-ნაგებობით *(იხილეთ სქემა).* საკვლევი ტერიტორია გაშლილია შედარებით სწორ რელიეფზე, მცირე დახრით მტკვრის მარცხენა სანაპიროსაკენ. კორპუსი ***№1*** და ***№2*** გამოდის უზნაძის ქუჩაზე, რამდენადმე შეწეულია კვარტლის შიგნით გატეხილი ხაზით და ქმნის ე.წ. კურდონიერს, სადაც განლაგებულია მცირე სკვერი. ***№1*** შენობის მხრიდან კვარტალში შემოდის პატარა ჩიხი, რომელზეც გამოდის ***№1*** და ***№5*** შენობების ფასადები, აგრეთვე ღია

ასფალტირებული სპორტული მოედანი. მოშორებით შიდა კვარტალურ ტერიტორიაზე იმავე ხასზე განლაგებულია №11 და №12 კორპუსები – წარმოადგენენ მეზობელი ლუდის ქარხნის შენობების ნაწილს. საკვლევი ტერიტორიის სიღრმეში არის ორი, თავდაპირველიდან – ცალკედგომი – შენობა - №3 და №4. საკვლევი ტერიტორიაზე ორი დიდი, შედარებით მაღალი შენობება №6 და №7 1-სართულიანებია. ერიტორიის ფერიტორიის შიგნით განლაგებულია ორი სატრანსფორმატორო, რამდენიმე გვიანდელი მინაშენი (დამხმარე სამეურნეო დანიშნულებით), პატარა ბეტონის დეკორატიული აუზი, ქანდაქების პოსტამენტი, ბაღის ბილიკები. შიდა სკვერში და შენობების წინ შემორჩენილია რამდენიმე დიდი ფოტლოვანი და წიწოვანი ხე.

** იხილეთ დანართი – შიდა ეზოს ფოტოფიქსაციის მასალა*



შენობების საკვლევო ნუმერაცია

თბილისი, საკვლევი ტერიტორია, აერო-ფოტო-გადაღება 2008 წ.



ღია სპორტული მოედანი







ხეები







პოსტამენტი



დეკორატიული აუზი



ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში
მდებარე ნაკვეთის
განთავსებული ნაგებობების
და მიმდებარე ტეტრიტორიის
მხატვრულ-ისტორიული
და არქიტექტურული კვლევა

შიდა ეზოს ფოტოფიქსაცია (2008 წ.)

№70

საკვლევი ტერიტორია



გრაფიკული განშლა უზნაზის ქუჩიდან

შენობა №1 სავარაუდოდ აშენებულია 1913-1924-წლამდე ''პსევდო-კლასიციზმის'' სტილის მიმსგავსებით.

შენობა გეგმით მართკუთხა ფორმისაა, 2-სართულიანია, უზნაძის ქუჩის წითელი ხაზიდან შიგნით კვარტალშია შეწეული. საპარადო ფასადის წინ მწირე სკვერი გაშენებულია. შენობის ერთი გვერდითი მხარე გადის ჩიხში, მეორე – "შეჭრილია" გვიან აშენებულ 3-სართულიან სახლში. მეოთხე გვერდი შენობისა გვიანდელი 1- და 2-სართულიანი მიშენებებით მიმართულია ეზოს მხარეს.

ყველა ფასადი დეკორატიული აგურის წყობით, თავდაპირველად არ იყო შელესილი და შეღებილი. დღემდე ასეთივე დარჩა ერთი გვერდითა კედელი, რომელიც გადის ჩიხში და ასევე ნაწილი ეზოში გამოვალი კედლისა. დანარჩენი კედლები გალესილი და შეღებილია მოგვიანებით. ფასადის კედლები, რომელთაც გვერდებზე რეზოლიტები გააჩნია, დამშვენებულია რუსტირებული სწორკუთხა პილიასტრებით, სართულშუა ზოლური კარნიზები გამოწეულია კუთხით დაწყობილი აგურით. საპარადო ფასადზე გვიანდელი პარაპეტის კარნიზი წინ წამოწეულია და ნალესობითაა შესრულებული.

ფანჯრები 1- და 2-სართულზე სწორკუთხოვანია, სეგმენტრი დეკორირებული ზღუდარებით და ფანჯრის ქვეშ პანელებით. ფანჯრები ხისაა ერთი ზემო ფრამუგით, 2-ფრთიანია და შემინულია (ძირითადში შემონახულია თავდაპირველი სახით). ფანჯარას შიგნიდან გააჩნია გულიანი ხის დარაბები. ღიობების გვერდებზე აკრულია ისეთივე ხის პანელები.

შენობას გააჩნია 2-ქანობიანი სახურავი, თუნიქით გადახურული ხის ნივნივებზე. სახურავზე ჩანს სამერცხულები და ადრე არსებული ღუმელების საკვამურები.

იატაკები დაგებულია ხის კოჭებზე და მოწყობილია ან მოზაიკური ფილებით, ან პარკეტით. ზოგიერთ ოთახებში ჭერის პერიმეტრზე დარჩა ზოლური-კარნიზები. შიდა კედლები და ტიხრები აგურისა, გალესილია გაჯით და შეღებილია. კაბინეტებში და დერეფნებში 1,5 მ. სიმაღლეზე კედლებზე გაკრულია ხის პანელები, რამდენიმე ადგილას შემორჩა ჩაშენებული წიგნის კარადები. 1-სართულის ერთერთ ოთახში შემორჩენილია ღუმელი, რომელიც მოპირქეთებულია კერამიკული ფილებით და დეკორატიული ნაძერწით.

შენობის 1-სართულის ყოფილი კაბინეტები და აუდიტორიები დაკავებული აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრ 'მზიურს", შესასვლელი უზნაძის ქუჩიდან. მე-2 სართული მიშენებით და მიშენებული 2-მარშიანი კიბით შიდა ეზოს მხრიდან დაკავებული აქვს 1993-წლიდან ლტოლვილებს.

მე-2 შენობის აგების დროს სართულშუა გადახურვები იყო გამაგრებული



საპარადო ფასადი



შენობა №5 შენობა №1

განშლა ჩიხიდან















ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის
ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №1 საპარადო ფასადი (უზნაძის ქუჩიდან) *ფოტოფიქსაცია (2008 წ.)*





შენობა №5 შენობა №1

განშლა ჩიხიდან











ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №1

თავდაპირველი ფასადი ჩიხიდან (უზნაძის ქუჩიდან)

ფოტოფიქსაცია (2008 წ.)



შენობა №2 შენობა №1 შენობა №5

ფასადე გრაფიკული ჩანახატი შიდა ეზოდან









ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის
ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №1

უკანა ფასადი (ეზოდან) *ფოტოფიქსაცია (2008 წ.)*











ხის დარაბები

თავდაპირველი კარი





ჩაშენებული წიგნის კარადები

თავდაპირველი ღუმელი

ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №1

ინტერიერის დეტალები *ფოტოფიქსაცია (2008 წ.)*



საპარადო (ქუჩიდან)



ეზოდან (შესასვლელი ტერიტორიაზე)



შიდა ეზოდან)

გ რ ა ფ ი კ უ ლ ი ფ ა ს ა დ ე ბ ი

შენობა №2

2-სართულიანია, სწორკუთხა გეგმარებით, მიშენებულია №1 შენობას 1930-იან წლებში ტექნიკუმის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, იმ დროისათვის დამახასიათებელი "სოცრეალიზმის" სტილში.

შენობის ერთი (პარადული) ფასადი გამოდის ქუჩაზე, დანარჩენი სამი ფასადი სადაა, ყოველგვარი არქიტექტურული დეკორის გარეშე. მე-3 სართული დაშენებულია 1950-იან წლებში. №2 შენობის საპარადო ფასადი სიმეტრიულია, დაყოფილია სწორკუთხა რუსტირებული პილიასტრებით სამ ნაწილად, წყვილი სწორკუთხა ფანჯრებით გვერდებზე. 1-სართულზე ცენტრალურ შესასვლელის თავზე, აივანზე მოწყობილია ცემენტით ჩამოსხმული ბალუსტრადა. მე-2 სართული ცენტრალური ფასადის ხრიდან გაცილებით მაღალია პირველ სართულთან შედარებით, რადგან აქ მოწყობილია საპარადო დარბაზი-ადიტორია და საპარადო ვესტიბიული. შენობის დანარჩენ ნაწილში პირველი სართული ოდნავ მაღალია მე-2 და მე-3 სართულის შედარებით. ეზოს მხრიდან 1-ლი და მე-2 სართულის ფამჯრის ღიობებს გააჩნია სეგმენტური ზღუდარები, ხოლო მე-3 სართულის ღიობებს – სწორკუთხა. ეზოს მხრიდან უკანა ფასადზე ჩანს ნახევარ-სარდაფის ფანჯრები.

ამ შენობას და მეზობელ უზნაძის ქ. №68-ში მდებარე შენობა შორის 1980-იან წლებში ჩაშენებული იქნა შენობა ბეტონის ბლოკებით 1 ფანჯრით ეზოს მხარეს, რომლიც ქვევითაც გადის საკვლევ ტერიტორიაზე შედა ეზოში შესასვლელი.

XXI საუკუნის დასაწყისში შენობა დაიწვა. ფიქსაციის პერიოდში კვლევის დროს შენობას არ გააჩნია სახურავი დ ახის ელემენტები: იატაკები, კარ-ფანჯრები, და სხვა. უყურადებობით შედეგად დაზიანებულია ხის სართულშუა გადახურვები დერეფნებში, ნაწილობრივ დაშლილია ტიხრები. შენობის საპარადო ნაწილის ნაწილის მზიდი კონსტრუქციები რკინა-ბეტონისაა და კარკასულია. ხოლო შენობის გრძივ ნაწილში სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე. კედლები და ტიხრები 1-ელ და მე-2 სართულზე აშენებულია აგურით, ხოლო მე-3 სართული, რომელიც დაშენებულია მოგვიანებით – გაკეთებულია პემზობლოკით. ქუჩის მხრიდან კარგად ჩანს თუ როგორ "შედის" №1 შენობის აგურის კედლები №2 შენობაში. ეზოს მხრიდან კი №2 შენობა ისე ებჯინება №1-ელს, რომ არც კი ეხება მის რეზოლიტს.

შენობაში განიერი 2-მარშიანი საპარადო რკინა-ბეტონის კიბე მოწყობილია ჩამოსხმული მოზაიკის საფხრებით, რომელიც ადგილ-ადგილ მცირეთ დაზიანებულია. კიბის მოაჯირები დღეისათვის დაკარგულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად შენობის დარჩენილ კონსტრუქციებს არ გააჩნია არც ჯდნენა და არც ბზარები, თუმცა სავალდებულოა კონსტრუქტორის კვლევა და დასკვნა.





















ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის
ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №2

ფასადები და ინტერიერსბი *ფოტოფიქსაცია (2008 წ.)*

შენობა №3 და **№3”**

ამჟამად არსებულმა 2-სართულიანმა №3-მა კორპუსმა თავისი მოხაზულობა მიიღო რამოდენიმე გადაკეთების შედეგად. ***პირველადი შენობის შემორჩენილი კედლები*** გეგმაში რუსული «**Г**»-მოხაზულობისა იყო. 1870-იან წელს აშენებული იქნა 1-სართულიანი შენობა, სადაც განთავსებული იყო რკინიგზის სასწავლო-სახელოსნოები. ეს არის ***ყველაზე ძველი ნაწილი საკვლევ ტერიტორიაზე შემორჩენილ ნაგებობათა შორის.***

თავდაპირველი კედლები აშენებული იყო ძველი „რუსული“ აგურით. მოგვიანებით ღიობების ამოქოლვაც გაკეთებულია სხვა ტიპის აგურით.

შენობის პირველადი ნაწილის ფანჯრებისა და კარებების სეგმენტური ზღუდარები გაკეთებულია აგურის ვერტკალური წყობით. რამოდენიმე ადგილას შემორჩენლია პირველადი ხის 3-ფრთიანი ფანჯარა ფრამუგებით.

შემორჩენილ პირველად ელემენტებად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე ხის 2-მარშიანი კიბე.

შენობის მე-2 სართული და ნაწილი მე-2 სართულის მინაშენისა აშენებულია ახლებურად, კერძოდ – მოწყობილია რკინა-ბეტონის კარკასული სართულ-შუა გადახურვა, კოლონებზე დაყრდნობით. დაშენებულ მე-2 სართულზ გააჩნია სწორუთხა ღიობები და 3-საფეხურიანი სახურავის კარნიზი (დასაშვებია რომ ეს სამუშაოები შესრულებულია №2 კორპუსის მშენებლობის დროს 1930-იან წლებში).

ჩიხის მხრიდან შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ ჩდება 2-სართულიანი ფლიგელი, ნახევრადმრგვალი ფრონტონით (კორპუსი №3”), რომლის წინაც მე-XX საუკუნის ბოლოს მე-2 სართულის დონეზე გაკეთდა გადახურული ტერასა კიბეებით, რომელიც შესრულებულია ასაწყობი მოზაიკის საფეხურებით მეტალის “კასაურებზე”. დღეს არსებული ფლიგელით სარგებლობენ აქ მცხოვრები ლტოლვილები მე-2 სართულზე შესასვლელად, სადაც ყოფილი კაბინეტები და აუდიტორიები გადაქცეულია საცხოვრებელ ოთახებად.

მე-2 სართულ გვიანდელ მინაშენში კარ-ფანჯრები ხისაა, ფრამუგიანია, ორფრთიანია. უნდა აღინიშნოს, რომ დერეფნების მხრიდან აუდიტორიები დამატებით ნათდებოდა ლენტური ჭერის ქვემო ფრამუგებით.

იატაკები 1-ელ სართულზე მოწყობილია მოზაიკის ფილებით, მე-2 სართულზე კი მეტლახით ან ლინოლიუმით ბეტონის საფუძველზე. კედლები, ტიხრები და ჭერი გაჯითაა გალესილი და შეღებილია.

სახურავი შენობის გვერდით ნაწილში შიდა ეზოს მხარეს – 4-ქანობიანია და დახურულია კრამიტით, დანარჩენ ნაწილში – 2-კანობიანია და დახურულია თუნუკით.

1-ელ სართულზე უკანასკნელ დრომდე მოწყობილი იყო სასწავლო სახელოსნოები, თუჯის სამუშაო მაგიდებით და მეტალის დამამუშავებელი ჩარხებით (სწორედ ამ შენობაში შემორჩა ზოგიერთი დანადგარ-მოწყობილობა მე-XX საუკუნის დასაწყისიდან –იხ. ფოტომასალა). მე-2 სართულზე ფლიგელის დერეფანში შემორჩა მეტალის დეკორატიული პანო, რომელიც შესრულებულია ჭედურობით 1970-იან წლებში. მასსზე გამოსახულია ადამიანების ფიგურები ვაზის მტევნის ორნამენტების შემკული – ზომით 3,5x1,5

იხილეთ დანართი – ფოტოფიქსაციის მასალა



მე-10 კორპუსიდან
ფასადების



მე-4 კორპუსიდან
გრაფიკული ჩანახატები



სახელოსნოები

1878 წლის პროექტის გენგეგმა













მე-2 კორპუსიდან

ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის
ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №3 და №3“

ფასადები და ინტერიერსბი *ფოტოფიქსაცია (2008 წ.)*

















ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის
ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №3 და №3“

თავდაპირველი კარ-ფანჯრები და ხის კიბე

ფოტოფიქსაცია (2008 წ.)















დეკორატიული
ლითონის პანო
3,5 X 1,5 მ.

ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის
ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №3

სასწავლებელი სახელოსნო, დანადგარები

ფოტოფიქსაცია (2008 წ.)



№4
ხედი მე-11 კორპუსიდან



№4 №4”
ხედი მე-3 კორპუსიდან

ფასადების გრაფიკული ჩანახატები

შენობა №4

გეგმარებით სწორკუთხა სიმეტრიული შენიბაა, რომელსაც გამოწეული ცენტრალური რეზოლიტი მიმართული აქვს ეზოს მხარეს. ცალკე მდგარი 2-სართულიანი შენობა იმყოფება საკვლევი ტერიტორიის სიღმმეში. დასაშვევია, რომ აღნიშნული შენობა აშენებულია ერთდროულად №1 კორპუსთან 1913-24 წლებში.

აშენებულია აგურით “ფსევდოკლასიციზმის” ნიშნებით. ფასადი სიმეტრიულია, დგას ქვის მცირე სიმაღლის ცოკოლზე. კედლები აგურისაა ამობურცული ნაკერებით, გაულესავია და შეუღებავი.

კარ-ფანჯრების ღიობებს გააჩნიათ სეგმენტური ზღუდარები, ფანჯრების ზევით და ქვევით არის დეკორატიული პანელები. სახურავი და სართულშუა გადახურვები გამოყოფილია ფასადებზე დეკორირებული კარნიზებით, მოკლე კარნიზები აქვს გაკეთებული აგრეთვე მე-2 სართულის ფანჯრებს შორის კედლებს. საპარადო რეზოლიტი გამოირჩევა ვიწრო ფანჯრებით გვერდებზე. რეზოლიტის კუთხეებს აზდევს მთელ სიმაღლეზე ბრტყელი პილიასტრები, ხოლო რეზოლიტის თავზე მოწყობილია პარაპეტი-ფრონტონით. ფასადის ყველა დეკორატიული ელემენტი (კარნიზები, პილიასტრის კაპიტელები, პანელები) დეკორირებულია გამონაშვერი და საფეხუროვანი აგურის წყობით. ნაწილი ფანჯრის ღიობებისა ამოქოლილია აგურის წყობით, 1-ეს სართულზე დაყენებულია გვიანდელი მეტალის გისოსები. ღიობების შემავსებელი ხისაა (ნაწილი შემორჩენილია), ერთი- და ორფრთიანი ზევითა ფრამუგით. სახურავი 2-ქანობიანია, უპარაპეტოა, დახურულია თუნუკით ხის კონსტრუქციებზე.

სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზეა მოწყობილი, გარდა ცენტრალური რეზოლიტის ნაწილში, სადაც კიბის უჯრედია მოთავსებული. აქ სართულშუა გადახურვა მოწყობილია განივად განლაგებულ მეტალის შველერებზე თაღოვანი აგურის წყობით (ანალოგიურად არის გაკეთებული მარშებს შორის კიბის მოედნები). კიბე მოწყობილია ქვის ფროფილირებული საფეხურებით, რომლებიც დალაგებულია ლითონის შველერებზე. კიბის მოაჯირები მეტალუსაა დაკრული ხის სახელურებით.

იატაკები 1-ლი სართულისა და კიბის მოედნებისა მოზაიკისაა მარმარილოს ნამტრევებით, ფერადი ზოლებით პერიმეტრზე. დანარჩენი იატაკები ხისაა ან პარკეტის. შიგნიდან კედლები აგურისაა გაჯით გალესილი, გაკრულია შპალერი ან შეღებილია. რამდენიმე ადგილას შენარჩუნებულია ნიშები ან ჩაშენებულია წიგნის კარადები. ეღთერთ ოთახში შემორჩენილია აგურის ღუმელი.

1-ლი სართულის სათავსო, სადაც თავდაპირველად იყო სახელოსნოები, არენდით დაკავებული აქვს სადურგლო საამქროს, რომელიც აწარმოებს ავეჯის რესტავრაციას. კლასები და აუდიტორიები განლაგებული შენობის მე-2 სართულზე, მიტოვებულია.

ლუდის კარხნის მხრიდან №4 და №12 კორპუსებს შორის მე-2 სართულის რაფებამდე მოწყობილია ხის თალარი, რომელიც დახურულია შიფერით.















ფასადის ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი

ინტერიერები











იატაკი
სადარბაზოში

ს ა დ ა რ ბ ა ზ ო ს კ ი ბ ე ქ ვ ი ს ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ი თ

ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის
ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №4 სასწავლებელი სახელოსნო, დანადგარები *ფოტოფიქსაცია (2008 წ.)*

შენობა №4”

№4 შენობას გვერდითი ფასადიდან მიშენებული აქვს 2-სართულიანი მოცულობა (კოპუსი №4”), რომელიც მეორე გვერდით ებჯინება შენობას მეზობელი ტრეიტორიიდან.

მინაშენი აშენებულია რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციებით, აგურის კედლებით გასული საუკუნის 1970-80 წლებში. იობები ოთხკუთხაა. სახურავი 2-ქანობიანია გადახურულია თუნუქით. ფასადის ერთადერთ დეკორატიულ ელემეტად შეიძლება ჩაითვალოს 3-საფეხურიანი დაბალი სახურავქვეშა აგურის კარნიზი.







№4 შენობის გვერდითი ფასადი

სართულშუა რკ-ბეტ. გადახურვა





შენობა №5 სწორკუთხა გეგმარებისაა, 1-სართულიანია. აშენებულია სავარაუდოთ №1 და №3 კორპუსების მშენებლობის დროს. თავდაპირველად ცალკე მდგომი შენობა გათვალისწინებული იყო როგორც დამხმარე (სავარაუდოდ, როგორც პერსონალის საცხოვრებელი). კედლები აგურისაა ამობურცული ნაკერებით, ჩიხში გამოსული ყრუ კედელი დეკორირებილია რუსტებით და საფეხუროვანი კარნიზებით, სახურავის პარაპეტის გასწვრივ. სახურავი 4-ქანობიანია, თუნუქის გადახურვით. მოგვიანებით შენობას სამი სხვა ფასადის მხრიდან დაიფარა მინაშენებით, რითაც შენობა ფაქტიურად დაკარგა თავისი პირვანდელი სახე.







ქ.თბილისი, უზნაის ქ. №70-ში მდებარე ნაკვეთის განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის ხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა

შენობა №5

ფასადი ჩიხიდან *ფოტოფიქსაცია (2008 წ.)*





ფასადების გრაფიკული ჩანახატები

შენობა №6

1-სართულიანი შენობაა კვადრატული ფორმის, აშენებულია 1970-იან წლებში. რკინა-ბეტონის კონსტრუქციებითაა შესრულებული ფახვერკული კოლონების სისტემით (სამ მწკრივად არის განლაგებული, თითოში 4 ცალი). შენობა გაყოფილია ორი სათავსოთ, დახურულია დაბალი 3-კუთხა ფერმებით, გააჩნია თუნუქის სახურავი. კედლები აგურისაა. შენობის ერთი ფასადი ყრუა და ესაზღვრება მეზობლის ტერიტორიას. მოპირდაპირე კედელი კი მიმართულია №2 კორპუსის მხარეს, რომელსაც გააჩნია 2 დიდი 4-კუთხა შესასვლელი, რომლიდანაც თავის დროზე შეეძლო შესვლა მანქანას. კარებების თავზე გრძივი შემინული სარკმელებია გაქეთებული. გვერდით კედლებზე თავდაპირველად მოწყობილი იყო კოლონებს შორის მთელ სიგანეზე მაღალი ლითონის ჯანჯრის ვიტრაჟები. დღეისათვის, გარდა გრძივი სარკმელებისა, თითქმის ყველა ღიობი გადაკეთებული ან ამოღენებულია. იატაკი ბეტონისაა ეზოს ტროტუარის დონეზე. ჭერი შეკიდულია გიფსის ფილებით ან ფანერით, კესუნური ბეტინის ფილებით გადახურვის ქვეშ, რომლებიც დალაგებულია მაღალ რიგელებზე. შენობა, რომელიც თავდაპირველად გამოყენებული იყო როგორც სარემონტო ავტოფარეხი, დღეისათვის გამოყენებულია როგორც მეტალიპლასტიკატის კარ-ფანჯრების დასამზადებელი საამქრო.

უნდა აღინიშნოს, რომ რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციების კარკასი კარგ მდგომარეობაშია, არ გააჩნია ხელშესახები დაზიანება.




ფასადები



შიდა სივრცე

შენობა №6
ფოტოფიქსაცია (2008 წ.)



№2 შენობის მხრიდან



გვერდიდან

ფასადების გრაფიკული ჩანახატები

შენობა №7

1-სართულიანია, სწორკუთხა გეგმარებით, უმნიშვნელო წინწამოწეული რეზოლიტით ეზოს მხვრიდან, აშენებულია 1970-იან წლებში №6 კორპუსთან ერთდროულად. რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციების კარკასული შენობაა ფახვერკის კოლონებით, ისევე, როგორც №6 კორპუსში, ისეთივე ბიჯით და 3-კუთხა სახურავის ფერმებით მოწყობილი. გადახურვა მოწყობილია კესონური ბეტონის ფილებით, რომლებიც დალაგებულია მაღალ რიგელებზე. სახურავი დაფარულია რუბეროიდით. შენობა არის ერთიანი სათავსო. ერთი ფასადი ყრუა აგურით ამოშენებული და ებჯინება მეზობელ ტერიტორიას. დანარჩენ სამ ფასადზე იატაკიდან მთელ სიმაღლეზე გააჩნია მეტალის კარკასები ვიტრაჟული შემინისათვის. იატაკი ბეტონისაა ეზოს ტროტუარის დონეზე. ჭერი შეკიდულია გიფსის ფილებით მეტალის კარკასზე.

სათავსო თავდაპირველად გამოყენებული იყო როგორც კვების ბლოკი. დღეისათვის – ცარიელია და მიტოვებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციები და მეტალის ვიტრაჟები კარგ მდგომარეობაშია და ხილული დაზიანება არ გააჩნია.





ფასადები



შიდა სივრცე

შენობა №7

ფოტოფიქსაცია (2008 წ.)

შენობა №8, №9, №10, №11

მცირე მოხაზულობით, 1-სართულიანი დამხმარე დანიშნულების ნაგებობებია, რომლებიც გქრო. ანლაგებულია საკვლევი ტერიტორიის პერიმეტრზე. მათ შორის აგურის პატარა სახლი 4-ქანობიანი სახურავისა, რომელიც დღესაც გამოიყენება დაცვის თანამშრომლებისათვის. ეს ნაგებობები აშენებულია სხვადასხვა დროს. არსებულ კვლევის დასაწყისამდე ზოგიერთი მათგანი მთლიანად ან ნაწილობრივ იქნა აღებული.

ისტორიული და არქიტექტურული თვალსაზრისით შენობა-ნაგებობები №8, №9, №10, №11 არავითარი ღირებულება არ გააჩნია.











ფოტოფიქსაცია (2008 წ.)

შენობა №12

გრძივი სწორკუთხა 1-სართულიანი შენობა, საკვლევი ტერიტორიის უკანა მხარეს მთელ სიგრძეში დალაგებულია და ებჯინება სამეზობლო ლუდის ქარხანას. აგურითაა აშენებული, გააჩნია 1-ქანობიანი სახურავი მიმართული ეზოსაკენ, დახურული თუნუქით ხის ნივნივებზე. აშენებულია მე-XX საუკუნის შუახანებში მორიგე რეკონსტრუქციის დროს სასწავლო სახელოსნოებისათვის. დღეისათვის დაკავებულია არენდით და ფუნქციონირებს ხის დამამუშავებელი საამქრო.

ისტორიული და არქიტექტურული თვალსაზრისით შენობა №12 არავითარი ღირებულება არ გააჩნია.









<u>შენობა №12</u>
ფოტოფიქსაცია (2008 წ.)

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, საკვლევი ტერიტორიის და მათ შეთავსებული შენობების ახალი ფუნქციით დაპროექტებისა და რესტავრაცია-ადაპტაციის განხორციელების დროს, სასურველია ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების მხედველობაში მიღება:

I. საკვლევი ტერიტორიის და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციისათვის და ახალი მოცულობების აშენებისათვის, **საპროექტო დავალების დამუშავების** და მისი **ახალი ფუნქციის განსაზღვრის** დროს დამკვეთმა და ქალაქის მუნიციპალიტეტის სტრუქტურებმა სავალდებულოა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ აღნიშნულ უბანს გააჩნია მინიმუმ საუკუნენახევრიანი **"სასწავლო-განათლებითი" ტრადიცია**, და შესაბამისად მიეცეს რეკომენდაცია გაგრძელდეს ეს ტრადიცია ქალაქისათვის.

II. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს თუ **რომელი შენობები დარჩეს რესტავრაციის, რეკონსტრუქციის და ადაპტაციის ჩასატარებლად, და რომელი შენობები უნდა იქნეს აღებული ნაწილობრივ ან მთლიანად** – რათა გამონთავისუფლებული ტერიტორია გამოყენებული იქნეს კეთილმოსაწყობად ან ახალი მოცულობების ასაშენებლად:

შენობა № 1 - ტერიტორიის გეგმარების დროს შეეცადოთ მაქსიმალურად იქნეს დაცული №1 შენობის გარეგნული სახე, რისთვისაც სავალდებულოა დავუბრუნოთ ფასადის კედლებს მათი პირველადი შესახედაობა, რის გამოც უნდა ჩატარდეს მისი სრული რესტავრაცია (კერძოდ გასუფტავებული უნდა იქნეს ნალესობების და შენაღებების მოგვიანო ფენები, რესტავრირებული უნდა იქნეს კედლის მცირე დაზიანებები და დანაკარგები). დაუბრუნდეს თავდაპირველი სახე შენობის მარჯვენა რეზოლიტის კედლებს ქუჩის მხრიდან, რომელიც "შეჭრილია" მეზობელ ნაგებობაში. შენარჩუნებული უნდა იყოს ფანჯრების თავდაპირველი ფორმა და დანაწევრება. ასევე სასურველია შენარჩუნდეს დარჩენილი და აღდგეს დაკარგული შიდა ხის ფანჯრის დარაბები. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია არსებული ინტერიერების ადაპტაცია შენობის ფუნქციონალური გადაგეგმარების დროს, ისე რომ შენარჩუნებული იქნას არსებული დეკორირებული ღუმელი.

იმ პირობებში, თუ მზიდი კონსტრუქციები შესაბამისად გამაგრდება, დასაშვებია დამატებითი სართულის დაშენება №1 შენობის მთელ ფართზე (საკვლევ ტერიტორიაზე შესაბამისი მოქმედი ნორმებით განსაზღვრული ქალაქთმშენებლობის კოიფიციენტის გათვალისწინებით). დანაშენის სტილი და სახე შეიძლება იყოს თავისუფალი, პროექტანტის კონცეფციიდან გამომდინარე, თუმცა სავალდებულოა გათვალისწინებული იქნეს თავდაპირველი ფასადების მასშტაბი და რიტმი.

შენობა № 2 **-** საკვლევი ტერიტორიის, ისევე, როგორც მთელი უბნის, რთული ისტორიიდან გომომდინარე, რის გამოც დამახასიათებელი იყო შერეული და სხვადასხვა დროის სტილი დას ახე, რომ არ იქნეს დაკარგული "სოცრეალიზმის" სტილის ერთადერთი არსებული ელემენტი – შენობის საპარადო ფასადი. რის გამოც რეკომიდირებულია შენარჩუნებული და რესტავრირებული იქნეს 2-სართულიანი საპარადო ფასადი. შენობის მზიდი კონსტრუქციები (განსაკუთრებით ვესტიბიულის ნაწილი და საპარადო კიბე), მათი საქმარისი მდგრადობის გამო, სასურველია გამოყენებული იქნეს ახალი გეგმარების და რეკონსტრუქციის დროს.

დასაშვებია ტერიტორიის შიგნით მიმართული ფასადების ნებისმიერი შეცვლა.

იმ პირობებში, თუ მზიდი კონსტრუქციები შესაბამისად გამაგრდება, დასაშვებია დამატებითი სართულის დაშენება №2 შენობაზე (საკვლევ ტერიტორიაზე შესაბამისი მოქმედი ნორმებით განსაზღვრული ქალაქთმშენებლობის კოიფიციენტის გათვალისწინებით). დანაშენის სტილი და სახე შეიძლება იყოს თავისუფალი, პროექტანტის კონცეფციიდან გამომდინარე, ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს საპარადო ფასადის მასშტაბი და სახე.

შენობა № 3 **-** მიუხიდავათ იმისა, რომ ეს შენობა ყველაზე ძველია საკვლევ ტერიტორიაზე, გამომდინარე მისი დღემდე მრავალჯერადი გადაკეთებისა, რითაც პრაკტიკულად დაკარგა თავდაპირველი სახე, დასაშვებია მეპატრონის და პროექტის ავტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ ან მთლიანად აქნას აღებული. შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდგომი გეგმარებისას თავდაპირველი აგურის კედლის ნაწილი, თავდაპირველი ფანჯრები, რკინაბეტონის კარკასი.

შენობა № 4 - უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ ტერიტორიაზე შენობამ განიცადა ყველაზე მინიმალური გადაკეთება და დღეისათვის მოახწია თითქმის თავდაპირველი სახით. რეკომენდირებულია ჩატარებული იქნას ფასადების სრული რესტავრაცია, ამსთან შენარჩუნებული იყოს ფანჯრების თავდაპირველი ფორმები. ინტერიერში დასაშვებია აქტიური რეკონსტრუქცია გარდა ცენტრალური სადარბაზოსი და ქვის კიბისა, რომლებიც საჭიროებენ რესტავრაციას.

იმ პირობებში, თუ მზიდი კონსტრუქციები შესაბამისად გამაგრდება, დასაშვებია დამატებითი სართულის დაშენება №4 შენობაზე (საკვლევ ტერიტორიაზე შესაბამისი მოქმედი ნორმებით განსაზღვრული ქალაქთმშენებლობის კოიფიციენტის გათვალისწინებით). დანაშენის სტილი და სახე შეიძლება იყოს თავისუფალი, პროექტანტის კონცეფციიდან გამომდინარე, ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს საპარადო ფასადის მასშტაბი და სახე.

შენობა № 4”

სასურველია აღებული იქნეს მთლიანად, ამსთან მისი აღების შემდეგ №4 შენობის გვერდითი ფასადი აღსადგენია.

შენობა № 5

ეს შენობა შეიძლება იქნეს შენარჩუნებული ან მთლიანად აღებული, გამომდინარე მესაკუთრია და პროექტის ავტორის მოსაზრებიდან, რადგან ერთადერთი შესამჩნევი არქიტექტურული ელემენტი გააჩნია ჩიხში გამავალ აგურის ფასადზე, ისიც გვიანდელი გადაკეთებებით.

შენობა № 6 და ***შენობა № 7***

ორივე კორპუსი აშენებულია ერთდროულად 1970-იან წლებში კარკასული რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციების ფახვერკის კოლონებით. შეიძლება რეკომენდირებული იქნეს ორივე შენობის რეკონსტრუქცია, ნებისმიერი საზოგადოებრივი დანიშნულების გამოყენებისათვის. მათ შორის სპორტული ან გასართობი ფუნქციით – გამომდინარე იქიდან, რომ მზიდი კონსტრუქციები კარგადაა შემონახული და მდგრადია, ამასთან შიდა სივრცეებს გააჩნიათ საკმაოდ მაღალი სიმაღლე დიდი ფართით. (H= м, ... x ... м). ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას პროექტანტის მიზნებიდან გამომდინარე №7 შენობის კედლების მეტალის ვიტრაჟების კონსტრუქციები.

შენობა № 8, №9, №10, №11, №12

რამდენადაც, ისტორიული და არქიტექტურული თვალსაზრისით №8, №9, №10, №11 და №12 შენობა-ნაგებობებას არავითარი ღირებულება არ გააჩნია საჭიროა მათი აღება.

III. იმის გამო, რომ თანამედროვე მშენებლობაში აქტიურად იკიდებს ფეხს ***ახალი ტექნოლოგიები და აშკარაა „ინტერნაციონალური“, “მინიმალისტური” ან „ჰაი–ტეკ“-ის სტილების გავლენა, ახალი მოცულობის პროექტირებისას სასურველია გათვალისწინებული ქნას სწორედ ეს ტენდენცია,*** მით უმეტეს, რომ საკვლევი რაიონი ხასიათდება სხვადასხვა არქიტექტურული სტილების ეკლექტიკური გავლენით. ამასთანავე, აუცილებლად უნდა იყოს დაცული ***ისტორიულლოა ლი უბნის და საკვლევი ტერიტორიის ადრენდელი განაშენიანების მაშტაბი.***

IV. ყველა შენობაზე, რომლებზედაც რეკომენდირებულია მთლიანი ან ნაწილობრივი შენარჩუნება, მათი შემდგომი რეკონსტრუქცია-ადაპტაციისათვის, სავალდებულოა ჩატარდეს შესაბამისი საინჟინრო-ტექნიკური კვლევა.;

V- საკვლევი ტერიტორიის განაშენიანების გეგმარების დროს, სავალდებულოა გათვალისწინებული იქნეს რაიონის კიდევ ერთი ტრადიცია, რაც გამოიხატება შიდა კვარტალურ ეზო-გამწვანებაში მჭიდრო განაშენიანების პირობებში.

არქიტექტორი – *ალა პროზოროვა*

თბილისი – 2009 წ.

ბიბლიოგრაფია და საარქივო მასალა:

- ვახტანგ ბერიძე, “**თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები**”
  “საბჭოთა საქართველო”,
  თბილისი, 1960წ.

- ვახტანგ ცინცაძე, **“თბილისი – ძველი ქალაქის ხუროთმოძღვრება და XIXს. პირველი ნახევრის საცხოვრებელი სახლები,”**
  საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა,
  თბილისი, 1958წ.

- თენგიზ კვირკველია, **“თბილისის არქიტექტურა”,**
  “საბჭოთა საქართველო”,
  თბილისი, 1982წ.

გამოყენებული ისტორიული რუკები და ფოტოები:

- თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი

დანართი:

- ისტორიული **რუკების** ფრაგმენტები,
  თოპოგეგა, აერო-ფოტო, სქემები – 8 ცალი;
- საარქივო ფოტოსურათები – 8 ცალი;
- **ფოტო-ფიქსაცია** – სურათები და განშლები – 111 ცალი;
- **გრაფიკული ჩანახატები** და **განშლები** – 18 ცალი